მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში 2018-2019 სასწავლო წელს სასწავლებლად პირველად მოსულ 774 პირველკლასელიდან ახლადრეაბილიტირებული სკოლის სიკეთეს 29 პატარეული მოხარდი გაიზიარებს, ხოლო სხვა 312 მოსწავლესთან ერთად მათ სკოლაში დახვდებათ თანამედროვე ევროსტანდარტების დონეზე მოწყობილი 57 საკლასო ოთახი და კაბინეტ-ლაბორატორიები (მ.შ. 27 საკლასო ოთახი).

17 სექტემბრისათვის ახლადრეაბილიტირებულ სკოლაში პირველკლასელ მოსწავლეებს 40 პედაგოგ-მასწავლებელი ელით, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა (37 მასწავლებელი) სერტიფიცირებულია.

სკოლის დირექტორის ნინო ბუბუაშვილის განცხადებით, ამ სასწავლო წლისათვის სკოლას სკოლას 21 მეორემეტყველად ეყოლება. გასულ სასწავლო წელს აქ 3 ოქროსმედალისანი მოსწავლე ჰყვავდა და ეცდებიან ეს შედეგი 2018-2019 სასწავლო წელს კიდევ უფრო გააუმჯობესონ. ფეხბურთიერი ყოფილიყოს ახალი 2018-2019 სასწავლო წელი ახლადრეაბილიტირებული სკოლებშია და მუნიციპალიტეტის ყველა მოსწავლე-ახალგაზრდისათვის.

გივი ლაპაიშვილი

სასექტემბრო ფიქრები და...

შემოაბიჯებს სექტემბერი, უჩვეულო, სახე შეცვლილი ...

მე კი რომელიმე ფოთოლივით გადამტყორცნის უცხო ადგილას, სადაც არასოდეს დამიდგამს ფეხი ...

ბევრს დავაკლდე ...

17 სექტემბერს ჩემს გარეშე დარეკენ ზარს, ჩემს გარეშე აუშვებენ დროშას და ჩემი გამორჩეული კლასის, ფანჯრის მხარეს მდგომი მერხი სივარულით და მარტოობით აქვითინდება ...

გაგახსენდებით ...

ყოველ ჯერზე ვინც ჩემს მერხზე ჩამოჯდებით გაგახსენდებით და მუდამ ჩემი სინემე დაგაეოქრებთ ...

როგორ მგავს ალბათ დადუმებული და სახე გაცრეცილი ჩემს სხეულს მონატრებული მერხი ...

რა სხვანაირად შემოდგომისფერდი შემოდგომა ... რა სხვანაირად ამირიე ფიქრები ...

თვალეზმადეულს ფანჯარასთან ატოტილი წიწვები მელანდებდა, ფერს რომ არც ერთ დროს არ იცვლიდნენ და მუდამ სიამაყით მადლა და მადლა მიიწვევდნენ ...

დამცინავად მედიდგულებოდნენ: – ხედავ?! სიმაღლეში გაგასწავროთო ...

ველარ შემოდგომის კლასის „პატარა სცენაზე“ და ვეღარ მივიღებ აკლოდის-მენტებს ...

ველარ მეტყვიან: –

– შვილი რომ მეყოლება, შენს წიგნს წავაკითხებ და ვეტყვი ეს ჩემი კლასელი ნინო იყო ...

ველარ მოვეყვები ვეღარსად წიგნის წაკითხვისგან აღბეჭდილ ემოციებს და განცდებს ...

სულ სხვა გარემოში, სულ სხვა ადამიანებთან მე „მე“ არ ვიქნები და არ ვარ ... ჩემი „მე“ იმ „პატარა სცენაზე“ დარჩა ... იმ სცენის ფარდას ამოფარებული ...

ჩემი თეთრი წაუკითხავი ლექსი მე მაპატიეთ, რაც ვერ ვთქვი მაშინ ... იქნებ სინემე ყველაფერს სჯობდა... ყველა აღრევა სულის და ხორცის ...



ჩემს გულს ბზარ-ბზარად ისევე სობდა, როგორც წლების წინ გარდაცვლილი სულის გამოხრხნა ... ვეღარ ვისხენებ ჩემს სილუეტს ღაღს და ბედნიერს ...

კედლებს მოხსენით წარმატება, ჩემი დიდება ... არ მეკადრება, მოღალატეს ასე დახვედრა ...

მე მაპატიეთ, მაპატიეთ ჩემი სინემე ... და საკუთარი არაფრობა ყველაფრის ფონზე ...

და ოცნებები?! ოცნებები სადღაც შემომრჩა... იმ სცენის მიღმა რომელსედაც ვეღარასდროს, ვერ დავაბიჯებ ...!

მე მაპატიეთ, რაც ვერ ვთქვი მაშინ ... იქნებ სინემე ყველაფერს სჯობდა...

ნინო ბუბუაშვილი

საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის მეორემეტყველად კლასის მოსწავლე

ას სავსეა მარცხის მოვიდა...

პირველკლასელი
მასწავლებელი

ნაირა გურგენიშვილი საგარეჯოს I საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგია. წელს მან კვლავ ახალი თაობა უნდა მიიღოს, ნელ-ნელა, რუდუნებით, უდიდესი ძალისხმევით შექლოს თითოეული მათგანის სულიერი სამყაროს შესწავლა, ცოდნის კარიბჭესთან მიყვანა. დღეს ქნი ნაირა ჩვენი გაზეთის სტუმარია.

– ქნი ნაირა, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, კვლავაც თქვენეული შემართებით, ბავშვებისადმი სიყვარულით გამთბარ საქმიანობას წარმატებები მოუტანოს თქვენთვის, თქვენი მოსწავლეებისათვის და სკოლისათვის. ეჭვს გარეშეა, ახალი სასწავლო წლის წინა დღეებში მღელვარება გიპყრობთ – როგორ შეგხვდებიან და როგორ შეხვდები ბავშვებს, რომლებიც 4 წლის განმავლობაში თქვენი „სამწყვსო“ იქნება.

– მადლობა მოლოცვისათვის. მართლაც დიდი მღელვარება გიპყრობს ყოველ პედაგოგს ახალი სასწავლო წლის დაწყებისას. ამას არ აქვს მნიშვნელობა, ახალ თაობას ვიღებთ თუ უკვე „ნაცნობ“ მოსწავლეებს ვხვდებით. თითოეული ახალი სასწავლო წელი ახალ-ახალ გამოწვევებს გვიპირდება, რომლისთვისაც მზად უნდა ვიყოთ...

– რამდენი წელია, რაც პედაგოგის „მუნდირს“ ატარებთ?

– ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა 40 წელს ითვლის უკვე.

– მერამდენე თაობას იღებთ 2018-2019 ახალ სასწავლო წელს?

– წელს ვიღებ IX თაობას.

– განწყობილება როგორია?

– განწყობილება ყოველთვის კარგი მაქვს. ყოველ ახალ წელს ვხვდები შემართებით.

– სასწავლო პროცესს კურიოზებიც ახლავს, რას გაიხსენებთ?

– კურიოზები ძალიან ბევრი იყო. მაგალითად. ერთხელ ვსაუბრობდით გაჭირვებაზე და დახმარების გაწევაზე. ერთმა მოსწავლემ თქვა, რომ ყოველთვის ეხმარება გაჭირვებულებს და დიდი რომ გახდებოდა და ფულს იშოვიდა, ჩემთვის მანქანა უნდა ყეიდა. რატომ? იმიტომ, რომ ძალიან გუყვარდა. დიდი ხნის წინ სკოლის დირექტორმა დაგვიბარა დასვენებაზე მასწავლებლები. მალე დავბრუნდით უკან. სკოლის თითქმის ყველა კლასის ბავშვები დერეფანში დარბოდნენ, ჩემი მოსწავლეები კი არსად ჩანდნენ. მე შემეშინდა, ვიფიქრე – ეხომ ხომ არ არიან-მეთქი. გადავიხედე, არც ერთი ბავშვი არ იყო. შემდეგ გავაღე საკლასო ოთახის კარი და ყველანი ისხდნენ წყნარად – 33-ეე მოსწავლე – ერთმანეთისთვის უთქვამთ – ვისაც ნაირა მასწავლებელი უყვარს, ჩუმი იყოსო. მერე მშენებ, ეს მართლაც დიდი ბედნიერება იყო. ყველას მოვეფერე და მადლობა გადავუხადე.

– ქნი ნაირა, რას იტყვით, რა განსხვავება ახლანდელ თაობასა და იმ პირველ თაობას შორის, რომლებიც გყავდათ.

– დღევანდელი თაობა არის პირდაპირი და ყველაფერს ამბობს ხმამაღლა, თავისუფლად

ახლანდელი თაობები არიან ძალიან დაჯერებული თავის ქმედებებში და არაკითარი შიშის გრძნობა არ გააჩნიათ.

ეს მე მგონი ძალიან კარგია. ადრინდელი თაობები უფრო მორიდებულნი იყვნენ და ახრს ასე თავისუფლად შეიძლება ვერ გამოთქვამდნენ.

– რას უსურვებთ ახალი სასწავლო წლიდან პირველკლასელებს და მათ პედაგოგებს?

– პირველკლასელებს ვუსურვებდი ჯანმრთელობას, სიხარულს და მასწავლებლებს – შექმლოთ ღირსეული თაობების აღზრდა, რომ გვეამაყოს მათი წინსვლით.

სკოლის მასწავლებელი
34 წელი უღაბოელი მოსწავლეების სამსახურში

1984 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მატემატიკის დიპლომით და განაწილებით სოფელ უდაბნოს საშუალო სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. სოფელ ბოდბეში დაბადებულ-გაზრდილ კაფანდარა გოგონას ვერც კი წარმოედგინა, თუ უღამაზესი სოფლიდან, სადაც ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს განსასვენებელია, ხორშაკ, მისიანად გადამწვარ, „ტიარად“ (რაც „შავ ველს“ ნიშნავს) წოდებულ ადგილას მოუწვევია ცხოვრება და მოღვაწეობა.

მის თვალწინ მშვენიერდებოდა, სახლდებოდა, იზრდებოდა სოფელი. სწორედ იმ სასწავლო წელს შევიდა ექსპლოატაციაში საშუალო სკოლის ახალი შენობის (ქვედა კორპუსი) ერთ-ერთი მონაკვეთი. გულან-ქროლებულმა შეხსნა საკლასო ოთახის კარი... უნივერსიტეტის ფართო აუდიტორიებიდან თუ თბილისის უღამაზესი მონაკვეთები ჩანდა, აქ ამ ფანჯრებიდან თვალუწვდენელი, ხეების, ბუჩქების გარეშე არსებული სივრცე... ამ სივრცეებს შაბათ-კვირის მშობლიურ ბოდბეში, დედასთან ერთად გატარებული საათები უცხვდა... მაგრამ, დრო სწრაფად გარბოდა – თითოეული გაკვეთილი, თითოეული დღე და თითოეული მოსწავლე განსაკუთრებულ გულისყურს, სითბოს, შემოქმედებით მიდგომას ითხოვდა და ნელ-ნელა მიეჩვივნენ ერთმანეთს... ის კი არა, სკოლის ხარცე კი მშობლიური გახდა მისთვის... მალე სვანეთიდან მიგრანტებიც ჩამოვიდნენ... ისინიც ხომ თავისებურ ყურადღებას მოითხოვდნენ დამხვედრთაგან – მშობლიურ კერას, ზვიად მთებს მოწვევით ბავშვებს უჭირდათ აქაურ, უცხო გარემოსთან შეგუება. მაგრამ ძალიან, ძალიან მალე მათემატიკის მასწავლებელი თამარ მონაწილე მათთვის ახლობელი და საყვარელი მასწავლებელი გახდა. ღმილით იხსენებს: – მეოთხეკლასელ ბიჭს ხმას ვერ ვაღებინებდით, უტყვად იჯდა და აქეთ-იქით წარბეჭდილი იყურებოდა, მორცხვობდა. ერთ დღე ნაც მიხვდი, რომ ვერაფერს ვათქმევინებდი და ვთხოვე – სიმღერა თუ იცი, იქნებ გვიმღერო-მეთქი. უცხვად დასტყვა სიმღერა „მე ვარ სვანი გაბლიანი“-ო. მოეუსმინეთ, შევაქე და მას შემდეგ ხმაც ამოიღო და ისეთი მოსწავლე და შემდეგში კი კაცი დადგა, დღეს მისით ვამაყობ.

ქალბატონი თამარი წლების განმავლობაში მათემატიკის პედაგოგობასთან ერთად სკოლის სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორიც იყო. საინტერესო იყო მაშინ ამ ხანით მუშაობა – სკოლაში ტარდებოდა ღონისძიებები, რომლებშიც მოსწავლეები, მშობლები, მთელი სოფლის საზოგადოება იყო ჩაბმული. 1988 წელს კი სვანეთიდან ჩამოსულ ჯაჯაუ თამლიანთან ერთად ოჯახი შექმნა. ერთად 28 წელი იცხოვრეს. 2 წლის წინ კი უკურნებელი სენით შეპყრობილი მუღღლე ქალბატონმა თამარმა უდაბნოს მიწას მიაბარა და ცხოვრება მოსწავლეების, კოლეგების, თანასოფლელების სიყვარულით, მათზე ზრუნვით ახლიდან დაიწყო.

– იმდენი ბავშვი შეყავს კარგად გაზრდილი და აღზრდილი, რომ უშიშრობა არ მიგრძენია, მათგან დიდი სიყვარულს, პატივისცემას და უკვე მზრუნველობასც ვგრძნობ, – მეუბნება ქნი თამარი და თვალბრუნებით მზე უდგება, – ჩვენთან, უდაბნოში 45 რაიონიდან ჩამოსული ხალხი ვცხოვრობთ. პირველად გვჭირდა ერთმანეთთან ურთიერთობა, მაგრამ უკვე მიყვანივით ერთმანეთს, ერთ მუშტად ვართ ახლა შეკრულნი. ბევრზე ბევრი სიკეთე გაკეთდა – გვაქვს 24 საათიანი სასმელი წყლით მომარაგება, დიდი ასფალტი, მოეწყო გარე განათება, ფუნქციონირებს საბავსო ბაღი ახლანდელბურღულ შენობაში, საიდანაც ღირსეული ცვლა მოდის ჩვენს სკოლაში... სოფელი ამ ბოლო დროს მშვენიერდება, ბევრი ტურისტიც სტუმრობს სოფელს და ნელ-ნელა წელში იმართება ოჯახები. სოფელს მერის ახალი წარმომადგენელი, ჩემი ნამოწაფარი – გიორგი კორქოლიანი ჰყავს და მიხარია – უფრო მეტი სიკეთე ექნება სოფელს.


ახლა ქალბატონი თამარი, უდაბნოელთათვის საყვარელი თამარიკო მასწავლებელი ახალი სასწავლო წლისათვის ემზადება – ისევ გულისფანცქალით, ისევ დიდი სიხარულით, დიდი მღელვარებით და დიდზე-დიდი გვეგებით, მიზნებით – მოსწავლეებს არ მოაკლოს მზრუნველობა და გაუადვილოს მათემატიკურ სამყაროში არსებული ყველა სირთულე.

ფეხბედნიერი, ახალ-ახალი წარმატებების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი კოლეგებისთვის, თქვენი მოსწავლეებისთვის ახალი სასწავლო წელი, ქალბატონო თამარ!



თამარ მონალი

ტოპონიმი ჩვენი სიძლიერაა
ჩვენი თანაქალაქელი აყენავს წინააღმდეგს
ვუძ(ო)მაბ(ო)თ, ვუპატ(ო)ნ(ო)თ, ნუ დაგპარბავ(ო)თ...



ამ რუბრიკის ქვეშ გაზეთში გამოქვეყნდება ის წინადადებები, მოსაზრებები, რომელთა შემოთავაზებას ჩვენი მუნიციპალიტეტის მოქალაქე შეუძლებს. დღეს გთავაზობთ საგარეჯოსელი ლამარა მგვალაშვილის წინადადებას, რომელიც ეფუძრება, ბევრს ჩააფიქრებს, გაახსენებს ჩვენი მშობლიური კუთხის ისტორიულ წარსულს, ჩვენს ლამაზ მარგალიტებს – ტოპონიმებს. მაშ, ასე, ჩვენი გაზეთის ძვირფასო მკითხველო, ჩვენი, რედაქციის თითოეული თანამშრომლის თხოვნა-ცნა, თუ ვინმეს გახსოვთ ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმების წარმომავლობა, შეგვეხიზინეთ, მოგვწერეთ, ნუ დაიზარებთ – შთამომავლობას შემოუნახოთ ჩვენი ეს დიდი სიძლიერე. და გაპრდებით, ვინც იაქტიურებს, მეტ მასალას მოგვარწოდებს, მას ჩვენი გაზეთის 1 წლის ზელმოწერას ვაჩუქებთ. გაეხსენოთ, ადგილობრივ დაკარგულ ეთნოგრაფიული სახელები.

მამარაშვილი – ვახტანგ მჭედლიშვილის ანდერძში ნახსენებია მიწის ეთნოგრაფიული სახელი – ხუციაური. მისგან ვიცი, რომ კახეთის გზატკეცილზე 80-90-იან წლებში არსებული (ამჟამად გაუქმებული) ავტოსადგომის ქვემოთ მდ. თვალთხევის, IV საჯარო სკოლისა და დვინის ქარხნის ჩაყოლებით ე.წ. „კოსტაფეს“ ჩათვლით მდინარე ივრამდე და იქ დარგული ადვის ხეები მას ეკუთვნოდა, ხოლო ე.წ. „მუხები“ – პაპანემს – ხევესტის. ასევე, მინდორში კუხლიანის ნაწილი. სიმართლე გითხრათ, კუხლიანის მღებარეობა ადარ მახსოვს. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს არქივში არ აღმოჩნდა საგარეჯოს მინდორის ცალკეული ნაწილების ეთნოგრაფიული დასახელებები. ძალიან დიდი სურვილი მაქვს ჩვენს მომავალ თაობას შემოუნახოთ, არ დაუკარგოთ საგარეჯოს მიწა-წყლისთვის ჩვენი წინაპრების მიერ დარჩენილი სახელები. მათი მოძიება, აღდგენა კი ადვილი შესაძლებელია, რადგან 1987-1988-1989-1990 წლებში საგარეჯოს რაიონის საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მიწათმოქმედების სამსახურების თანამშრომლებმა კარგად იცოდნენ მათი ადგილმდებარეობა, ზუსტი დასახელება და თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში მათი დახმარებით ხელმძღვანელობდნენ. დანაშაულებად მიმანია, რომ მომავალ თაობას დაუკარგოთ ისტორიული სახელები: სადალო, ბერდარა, ვაშლიანი, ხალაჯები, კუხლიანი, გველისწყარო, ნაივრალი, ნაკრძალი, ტახტბერაან ნაგომრები, თუ-ღიანი ხევი, აკაპანისხევი და სხვა.

ლამარა მგვალაშვილი, 84 წლის პენსიონერი პედაგოგი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სსლომა

31 აპრილი, 2018 წელი
დასასრული

ლარი, სოციალურად დაუცველი საგარეჯოსში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობისთვის „ნორფუ პაირამის“ დღესასწაულთან დაკავშირებით საკრებულო პროდუქტის ამანათების გადაცემა დაფინანსდა 1,685 ლარით (120 ოჯახი), სახალწლოდ პროდუქტების შექმნა სოც.დაუცველ მოსახლეობისათვის 5,475 ლარი (500 ოჯახი), სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი დახმარება შემახე 2,100 ლარი (42 ოჯახზე); სოც.დაუცველი მოსახლეობისთვის გადასაცემი სადღესასწაულო ამანათების შესაფუთი პარკების შექმნა 126 ლარი; სოც.დაუცველი მოსახლეობისთვის სააღდგომო ამანათებისთვის კვერცხის შესყიდვის ხარჯი 1,330 ლარი; სოც.დაუცველი მოსახლეობისთვის სააღდგომო ამანათებისთვის ქათმის ხორცის შესყიდვის ხარჯი 3,363 ლარი; სოც.დაუცველი მოსახლეობისთვის სააღდგომო ამანათებისთვის პასკების შესყიდვის ხარჯი 2,006 ლარი; სოც.დაუცველი მოსახლეობის პროგრამიდან არაიდენტიფიცირებული გარდაცვლილი პირის დაკრძალვის ხარჯი 300 ლარი; ფაშაზე გამარჯვების ღონისძიებისათვის გვირგვინების და ყვავილების შექმნის ხარჯი 180 ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯვა მუხლების მიხედვით ასეთია:

- შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 750,886 ლარი (გეგმა 757,073 ლარი(99 %));
- საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 883,713 ლარის 96 % გეგმა 917,349 ლარი;
- პროცენტის ხარჯმა შეადგინა 35,031 ლარი, გეგმა 35,031 ლარი ;
- სუბსიდიების ხარჯმა შეადგინა 1 944,163 ლარის 96 % ა გეგმა 2 028,629 ლარი;
- გრანტები შეადგენს 13,916 ლარს, გეგმა 13,916 ლარი, შესრულება 100 %;
- სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 93 %-ით (გეგმა 252,587 ლარი, ფაქტი 235,465 ლარი);
- სხვა ხარჯები შეადგენს გეგმიური 311,954 ლარის 96 % ანუ 298,687 ლარს;
- არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსდა გეგმიური 1294,069 ლარის ნაცვლად 1197,269 ლარით, ანუ 93 %-ით.
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდიდან კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებებზე გამოყოფილი 121,913 ლარიდან გაიხარჯა 94,756 ლარი, მათ შორის:

კაკაბეთში მცხოვრებ თამაზ მირიანაშვილის ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღდგენითი სამუშაოებისთვის 12,000 ლარიდან გაიხარჯა 11,411 ლარი, რუსთაველის ქუჩა 181-ში მცხოვრები ზურაბ ცხვარიაშვილის ეხოს და საგარეჯოს №3 სკოლაში მდ. ალზრდის დაწესებულების ეხოს ქარბზლისგან დაზიანებული ხეებისგან გასასუფთავებლად სპეცტექნიკის დაქირავებისთვის 1,0 ათ.ლარი გაიხარჯა სრულად; 2018 წელს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის(ძლიერი ქარი) შედეგად მიყენებული ზიანის განსახორციელებელი სალიკვიდაციო ღონისძიებების თანადაფინანსებისთვის გამოყოფილი 35,503 ლარი გაიხარჯა სრულად; 2018 წლის 10 მარტს ქს.საგარეჯოსში მომხდარი სტიქიის(ძლიერი ქარი) შედეგად, დავით ადამაშვილის ქ.32-ში მდებარე მრავალბინიანი საერთო საცხოვრებლების და სათავის ქ.№47-ში მცხოვრები ალექსანდრე ყურაშვილის საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავების სამუშაოების და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისთვის გამოყოფილი 71,980 ლარიდან გაიხარჯა 45,412 ათ. ლარი; 2018 წლის 9-10 იანვარს,ძლიერი ქარიშხლის შედეგად დაზიანებული ოჯახებისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით შექმნილი ტენტების ე.წ.„პალატების“ შესყიდვისთვის გამოყოფილი 1,430 ლარი გაიხარჯა სრულად. აღნიშნული მოხსენების ირგვლივ შეკითხვები დასვლით საკრებულოს წევრებმა, რომლებსაც თავად მომხსენებელმა და მერის სამსახურის უფროსებმა უპასუხეს. საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის გენდერულ პასუხისმგებელმა პირმა თამარ ურდულაშვილმა. დღის წესრიგის ყველა საკითხზე სხდომის მონაწილეებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ჩვენი ნიჭიერი მომავალი ფიქრები „შოთა და თანამედროვეობა“



ნუცა ბაბინაშვილი

ფსალოსთავის საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელია... უყვარს კითხვა, წერა... ნუცამ გასულ წელს ლიტერატურულ კონკურსში „გოგლა“ პირველი ადგილი, წელს კი მეორე ადგილი მოიპოვა. წერს საინტერესოდ, ლაკონურად, აზრიანად... საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ნუცას თანატოლები ლიდერად აღიარებენ, რადგან მას ამ „წოდების“ მოსაპოვებლად ყველანაირი თვისება აქვს, თანატოლებს უყვართ მისი ნაწერების კითხვა. პირველად „ძალი“ დაწერა, ისე, თავისთვის, თავისი საყვარელი ძაღლის თვალთ დაინახა სამყარო... შემდეგ კი თემებში მოზღვადა და დღეიდან ნუცას შემოქმედებას ჩვენი გაზეთის გვერდებიდანაც გაგაცნობთ.

„შოთა და თანამედროვეობა“ თუ შოთა და მარადიულობა?! ან სულაც – „შოთა თანამედროვეობა“! ფრაზა, რომელსაც თამამად ვამბობ მე, „ოცდამეერთე საუკუნეში“, „შოთადან 8-9 საუკუნის შემდეგ და ასევე თამამად გაიმეორებს კიდევ არაერთი 8-9 საუკუნის შემდეგ ჩემი თანატოლი... თანამედროვეობა?! – ირონიით ჩაილაპარაკებს მავანი და საქმიანად მოიმარჯვებს პულტს, გერანზე „გენდერული თანასწორობის“ მოთხოვნით მიმდინარე აქციას მიაჩერდება... მიაჩერდება და არც კი მოაგონდება, რომ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“-ო... – ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში „მოავგარა“ შოთამ ოცდამეერთე საუკუნის უდიდეს პრობლემას! – ადამიანი პროვინციული ღირსებებით უნდა იყოს გამორჩეული, სხვებზე საქმით აღმატებული, თორემ ქალი და კაცი რას გაუყვიაო...

არ მოაგონდება. მე კი მაგონდება... მაგონდება ვაზირთა ღირსეული პასუხი – „თუცა ქალია ხელმწიფე, მართ ღმრთისა დანაბადია“...

მაგონდება, როგორ „დასაჯა“ რუსთაველმა ფარსადან მეფე, რომელიც „დრომოჭმულ“ (მეთორმეტე საუკუნეში!!!) თვალსაზრისზე იდგა, როცა ქალს არ ეკითხებოდა მისი ბედის გადაწყვეტის საკითხი. ამით დაგმო არსებული „ტრადიცია“, რომლის არსებობა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში თანამედროვეობაშიც ხშირად ხდება საფუძველი „გენდერულ უთანასწორობაზე“ მითითებისა და რვა საუკუნის წინ ამხილა ამ (თანამედროვე) თვალსაზრისის მანიკურება. რუსთაველი თავისი „ვეფხისტყაოსნით“ ისეთ შეხედულებას იცავს, რაც იმ დროისათვის (და გარკვეულ ქვეყნებში, წრეებში, სოციალურ ფენებში დღესაც) „გაუგონარ ამბავს“ წარმოადგენდა.

მაგონდება, მაშინ ამ უსამართლო და უბუნლო ქცევის გამო როგორ ჩაადგინა ავტორმა საერთოდ მშვიდსა და უწყინარ, მშობლების მოყვარულ ნესტანს ურჩობა. ამ ქმედებით რუსთაველი მოითხოვს ქალის საზოგადოებრივად და მორალურად ემანსიპაციას, გარკვეულ პირობებში პოლიტიკურ სარბიელზედაც კი მამაკაცთან უფლებებიერად გათანასწორობას. შოთა რუსთაველი ქალს მიიჩნევს მამაკაცის მს-

გავს სრულყოფილ ადამიანად. მაგონდება, როგორ ლამაზად გადაწყვიტა შოთამ სხვადასხვა რელიგიისა და ეროვნების წარმომადგენელთა შორის ურთიერთობის პრობლემა – მისი „ძმად-ნაფიცები“ – იდეალური მეგობრები – განსხვავებული რელიგიის აღმსარებლები, სხვადასხვა ქვეყნის შვილები არიან.

მაგონდება... კიდევ ბევრი რამ მაგონდება, თუმცა ყველაზე წინ ამ ყველა პრობლემის მიზეზის რუსთაველისეული განმარტება მაგონდება – „მით ვისწავლენით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწეობრთა წყობისაო“ – ასე ყოვლისმომცველად, ლაკონურად, მარტივად „აგვიხსნა“ თანამედროვე საკამათო პრობლემა – განათლების მიზნები და ამოცანები – განსწავლულობა, განათლება ადამიანის, როგორც სამყაროს ერთ-ერთი ნაწილის ბუნებრივი მოთხოვნილება, საშუალება, მის ჰარმონიას, კანონზომიერებას რომ შეუერთდეს...

... და როცა მავანი ირონიით ჩაიღიმებს – თანამედროვეობა?! – პულტი გამოვართვათ და „ვეფხისტყაოსანი“ მივაწოდოთ ხელში...

ჩემი ძვირფასი შემოდგომა...

თითქოსდა სიცოცხლე კვდომას იწყებს. სუსხიანია. დასაწყისი კი ფერადი, თბილი, მზიანი. სიცოცხლე და სუსხი ზამთართან შესახვედრად გვაძახებენ.

ჩემი შემოდგომა დასასრულის დასაწყისია. შენ არ განმეორდები, არც ერთი შენთან დაკავშირებული წამი არ განმეორდება არასდროს. ჩემი შემოდგომაც ასეთია.

1 სექტემბერია. ქარია, ცივი ნიავი უბერავს. წვიმასაც იწყებს. მალე ფოთლების ხმაური გაისმება შორიხლო, გამონდება უამრავი ცოცხლი, ყველაფერი ყვეთელი გახდება. დაიწყება ხოვადი დილა მალაღარა მზით. ესაა ჩემი შემოდგომა.

დიდ ქალაქში შემოდგომას არ შესცქერია, განებეზრებულ ხალხს შემოდგომის ფერები არ სჭირდებათ. ფოთლებში კი სველისფერი სურნელი ტრიალებს. დაკვირვებულნი თვალთ თუ შეამჩნევს ამას – შემოდგომის სულს.

ადრე მეგონა, რომ ხეებს სტეკილათ შემოდგომა, მაგრამ თუკი იებს მოკვავთ გაზაფხული, უსათუოდ ხეები უხმობენ შემოდგომას. იცვლიან, იმოსებიან ღამაზი კაბებით და ეძახიან. სწორედ ხეებით იგრძნობ სექტემბრის პირველ, ოქტომბრისკენ გაფრენილ სექტემბრის საღამოს. აუცილებლად იგრძნობს შენი სხეული თუ სული. სუსხი დაგივლის და ძვლებსაც კი გაგიყინავს. მან შენამდე შეაღწია და დაისადგურა.

მწველი ოქროსფერია, მტკივნეულად წითელია, შვებისმომგვრელი ჩაღისფერია. აი, ასეთია ჩემი შემოდგომა. აი, ამფერია ჩემი შემოდგომა. ერთხელ, საღამო შორს მზემ შემოდგომას ხელი რომ გადახვია. ჩემი შემოდგომა მიყვარს!



გარდასულ დღეთა მობრუნებები... ინოვაციური მეთოდებით 70-იანი წლების მასწავლებლების მუშაობა



08ა60 ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის 1962 წლის კურსდამთავრებული მაშინდელი საგარეჯოს რაიონის (ახლანდელი გარდაბნის) სოფელ ხართიჭალის I საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად გამანაწილეს.

22 წლის დამწყებ მასწავლებელს ჩემსავით ახალბედა თამარ მარსაგიშვილთან, ნანა კუხალიაშვილთან და მედია პეტრეაქიანთან ერთად თბილად შეგვხვდა სკოლის დირექტორი შალვა ბედლიძე და მისი მოადგილე სონია გენგაშვილი.

გერმანელების აშენებულ სახლში დაგვაბინავეს. მიწისიატაკიანი ოთახისათვის დიდი ყურადღება არ მიგვიცქევია. ჩვენი მთავარი საფიქრალი მოსწავლეებთან შეხვედრა იყო.

სადამრთველო VIII კლასი მომცეს. არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი მოსწავლეები: ნათელა მუხიაური, მაცყვალა მუხიაშვილი, დათო და ზურაბ გენგაშვილები, ნათელა გუდვენიშვილი, ქართლოს და ჯონი დობტურიშვილები და სხვები...

კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ურთიერთობა დიდი გამოცდილება შემძინა. ორი უბედნიერესი წელი გავატარე ხართიჭალაში.

დაოჯახების შემდეგ საგარეჯოში გადავედი საცხოვრებლად. ორი წელი საგარეჯო-ხართიჭალის გზაზე სიარულში გავატარე. ასე დიდხანს ვეღარ გავრძელებოდა და განათლების განყოფილების გამგებ რაიკომის I მდივან ა. ხვიადაძესთან შეთანხმების შემდეგ მეთოდური კაბინეტის გამგედ დამინიშნა.

მიკვირდა და ახლაც მიკვირს, სრულიად ახალგაზრდას, გამოუცდელს ასეთი დიდი ტვირთი – ტვირთი მეთოდისტი-ინსპექტორისა, როგორ მანდეს... ჩემს გვერდით გამოცდილი ინსპექტორები სერგო ხაჩატურიანი და ვანო გვილაგა მუშაობდნენ.

მეთოდურ კაბინეტში მოყვანეს ახალი თანამშრომლები: ეთერ მურმანოვი, თამარ საგინაშვილი, ლამარა ოთარაშვილი, ლუიზა ქიტოშვილი, ლია გოგინაშვილი.

ბატონმა ვანო ბედიანაშვილმა საგარეჯოს რაიონის პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარედ დამინიშნა; ამავდროულად წარმადგინა გაზეთების „სახალხო განათლების“ და „იერის განათლების“ შტატგარეშე კორესპონდენტად.

წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით დავდიოდით რაიონის სკოლებში. სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლისა და მისმენილი გაკვეთილების ანალიზის შემდეგ ვაღვენდით სათანადო აქტს, რომელიც სკოლას ვგზავნიდით.

განათლების განყოფილებაში და მეთოდურ კაბინეტში ხშირად მოდიოდნენ სკოლის დირექტორები, მათი მოადგილეები, საგნობრივი მეთოდური გაერთიანების თავმჯდომარეები, საბავშვო ბაღის გამგეები და რიგითი პედაგოგები.

საუკეთესო პედაგოგების გამოცდილების განზოგადება ხდებოდა არა მარტო რაიონის, არამედ რესპუბლიკის მასშტაბითაც. ნინო ასათიანი, ნადია ცაგარეიშვილი, ვარდო ნიკოლაიშვილი, თინა მანხაშვილი, სარა ზაალიშვილი, მერი ხოხობაშვილი, ფატი ფიცხელაური, ტატიანა მნელაძე, ცილა ნარიშკინიშვილი, ვიორგო ამბარდნიშვილი, თინა მაჭავარიანი, მაცყვალა წერეთელი, ლიუსი როსტიაშვილი და სხვები სწავლების ინოვაციური მეთოდებით, მონათესავე საგნებთან კავშირის დამყარებით, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებისა და ტექნიკური საშუალებების გონივრული გამოყენებით მოსწავლეებს არა მარტო საგანს აყვარებდნენ, არამედ მათში ნერგავდნენ დამოუკიდებელი კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს.

განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი მიმიღო საგარეჯოს II საშუალო სკოლის დირექტორმა ქნმა მარო მეიფარიანმა, რომელმაც კუთვნილი ორი კლასიდან ერთი მე დამითმო... ჩემთვის უმთავრესი გაკვეთილის ჩატარება და მოსწავლეებთან ურთიერთობა იყო...

წლების სემდეგ ქნ მარო მეიფარიანი ჯანმრთელობის გაუარესების გამო კოკი ბანძელაძემ, შემდეგ ქნმა ნანუელი ჩხვლაძემ შეცვალეს.

ეს სკოლა და მისი პედაგოგიური კოლექტივი: ნინო რევაზოვი, თამარ აბესაძე, ლენა ლაზარაშვილი, ნინელი ქვლიციძე, ლამარა სტეფანიშვილი, მარგო არუნაშვილი, ზამილი ჭიაბრიშვილი, ცისმარ ტოპეშაშვილი, ბიბლითეკარი ნუნუ ლაფანიშვილი და სხვები გვერდში დამიდგნენ და საგნობრივ ოლიმპიადებთან ერთად გამართავდით ლიტერატურულ საღამოებს, რომელიც ხშირად რაიონის კულტურის სახლში ტარდებოდა...

სახალხო პოეტის იოსებ ნონეშვილის ცნობილი ლექსის სტრიქონი „მასწავლებელი, ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“, სუსტად მიესადაგება ქნების მარო მეიფარიანისა და ნანუელი ჩხვლაძის ცხოვრებას.

გარდასულ დღეთა მობრუნებას სიხარულთან ერთად დიდი ტკივილიც ახლავს, ტკივილი ახლობელ ადამიანებთან გამოთხოვებისა...

სულ ახლახანს გამოცდილი მეთოდისტი და პედაგოგი ეთერ მურმანოვი დავიჭირეთ... დმერთმა ნათელაში ამყოფოს მისი სული; იქ დაამკვიდროს, სადაც მართლანი განისვენებენ.

ლია ჭანაკვეტაძე
გენსიონერი



მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის დარგის სპეციალისტს – თიბა ბრატიაშვილს, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების I კატეგორიის უმცროს სპეციალისტს – ცინარი პონიაშვილს, მოქალაქეთა მომსახურებისა საქმის წარმოების განყოფილების II კატეგორიის უფროს სპეციალისტს მარიამ მამოკიშვილს, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების II კატეგორიის უფროს სპეციალისტს თამთა თარიმანიშვილს, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტს დათო ხუციშვილს, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების I კატეგორიის უფროს სპეციალისტს – ირმა როსტიაშვილს, ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს და კარიერულ წინსვლას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბანცხალვა



აიპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“ აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 2018-2019 სასწავლო წლისათვის საფორტეპიანო და საგუნდო განყოფილებაზე.

ასევე მოსწავლეები მიიღებიან სკოლასთან არსებულ საესტრადო ვოკალზე, ხალხურ საკრავებზე და გიტარის განყოფილებაზე.


მოსწავლეები მიიღებიან 6 წლიდან. საბუთების მიღება დაიწყება 4 სექტემბრიდან, 12-დან 16 საათამდე. გამოცდა ჩატარდება 25 სექტემბერს 1 საათზე.

მისამართი: საგარეჯო, აღმაშენებლის ქ №3.

საკონტაქტო ტელეფონები: 599851145; 599851175.

ბამოსათხოვარი სულიკო ზალიკაშვილი

ბიოგრაფია



დაბადდა 1939 წელს. 1947 წელს შეიყვანეს საგარეჯოს პირველ საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1959 წელს. მისი სკოლაში სწავლის პერიოდში სკოლაში ჩამოყალიბდა თავისუფალი ჭიდაობის სექცია, რომლის ინიციატორი იყო მწვრთნელი ივანე მეოკიშვილი. 1953 წლიდან დაიწყო თავისუფალი ჭიდაობის სექციაში ვარჯიში. მასთან ერთად ვარჯიშობდნენ შემდეგში ცნობილი მოჭიდავეები ძმები ბიძინა და თამაზ კველიშვილები, ბიჭიკო მარიდაშვილი, ანზორ ზურაბაული, სპარტაკ ქარსაულიძე და სხვა ცნობილი მოჭიდავეები. 1956 წელს სულიკო ზალიკაშვილმა იჭიდავა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ პირველობაზე და მეორე ადგილს დასჯერდა. 1957 წელს შედეგი გააუმჯობესა და ჩემპიონი გახდა. ამ საზოგადოების სამჯერ პირველი და ორჯერ მეორე ადგილის მფლობელია. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში 1959-1962 წლებში. არის ქალაქ თბილისის ჩემპიონი და პრიზიორი. 1962 წელს მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის სტუდენტთა თამაშებში, სადაც გახდა ვერცხლის მედალოსანი. ამავე წელს ქალაქ ნაღიკში გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველობა პირველ თანრიგოსნებში. აქაც ვერცხლის მფლობელი გახდა და შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

1962 წელს ქალაქ კასპში სულიკო ზალიკაშვილმა იჭიდავა საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში, აიღო მეორე ადგილი. ამავე წელს გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, სადაც გააგრძელა სპორტული მოღვაწეობა. არის მრავალჯერ ჩემპიონი და პრიზიორი შეიარაღებულ ძალებში. 1963 წელს ქალაქ ვორონეჟში ჩატარდა რუსეთის ზონალური სპარტაკიადა, სადაც გახდა ჩემპიონი. არის აგრეთვე აზერბაიჯანის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში. აგრეთვე მონაწილეობა მიიღო მრავალ ამხანაგურ და საერთაშორისო შეჯიბრებაში. მიღებული აქვს მრავალი მედალი და სიგელი. სულიკო ზალიკაშვილი მრავალი მოუშუშებელი ტრავმის გამო 1970 წელს ჩამოშორდა აქტიურ სპორტს.

საგარეჯოელ ვეტერან მოჭიდავეთა სახელით ბიჭიკო მარიდაშვილი, აიპ „საგარეჯოს სპორტკლუბის“ დირექტორის სპორტის მწვრთნელი

დაიბადა 1939 წელს. 1947 წელს შეიყვანეს საგარეჯოს პირველ საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1959 წელს. მისი სკოლაში სწავლის პერიოდში სკოლაში ჩამოყალიბდა თავისუფალი ჭიდაობის სექცია, რომლის ინიციატორი იყო მწვრთნელი ივანე მეოკიშვილი. 1953 წლიდან დაიწყო თავისუფალი ჭიდაობის სექციაში ვარჯიში. მასთან ერთად ვარჯიშობდნენ შემდეგში ცნობილი მოჭიდავეები ძმები ბიძინა და თამაზ კველიშვილები, ბიჭიკო მარიდაშვილი, ანზორ ზურაბაული, სპარტაკ ქარსაულიძე და სხვა ცნობილი მოჭიდავეები. 1956 წელს სულიკო ზალიკაშვილმა იჭიდავა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ პირველობაზე და მეორე ადგილს დასჯერდა. 1957 წელს შედეგი გააუმჯობესა და ჩემპიონი გახდა. ამ საზოგადოების სამჯერ პირველი და ორჯერ მეორე ადგილის მფლობელია. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში 1959-1962 წლებში. არის ქალაქ თბილისის ჩემპიონი და პრიზიორი. 1962 წელს მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის სტუდენტთა თამაშებში, სადაც გახდა ვერცხლის მედალოსანი. ამავე წელს ქალაქ ნაღიკში გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველობა პირველ თანრიგოსნებში. აქაც ვერცხლის მფლობელი გახდა და შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

1962 წელს ქალაქ კასპში სულიკო ზალიკაშვილმა იჭიდავა საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში, აიღო მეორე ადგილი. ამავე წელს გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, სადაც გააგრძელა სპორტული მოღვაწეობა. არის მრავალჯერ ჩემპიონი და პრიზიორი შეიარაღებულ ძალებში. 1963 წელს ქალაქ ვორონეჟში ჩატარდა რუსეთის ზონალური სპარტაკიადა, სადაც გახდა ჩემპიონი. არის აგრეთვე აზერბაიჯანის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში. აგრეთვე მონაწილეობა მიიღო მრავალ ამხანაგურ და საერთაშორისო შეჯიბრებაში. მიღებული აქვს მრავალი მედალი და სიგელი. სულიკო ზალიკაშვილი მრავალი მოუშუშებელი ტრავმის გამო 1970 წელს ჩამოშორდა აქტიურ სპორტს.

საგარეჯოელ ვეტერან მოჭიდავეთა სახელით ბიჭიკო მარიდაშვილი, აიპ „საგარეჯოს სპორტკლუბის“ დირექტორის სპორტის მწვრთნელი

ბაბლუკის

ბაბრუკი მოლოდინი იმედია

ლუკა ცხრა წლისაა. აქედან 4 წელი მამის სასთუმალთან ატარებს ზაფხულის არდადეგებსაც და მთელ დღეებსაც. თუ გაკვეთილებზეა, გულისყური ისევ სახლში, მამისკენ აქვს მიპყრობილი – როგორ უნდა, როცა მამიკო გონზე მოვა, პირველი ლუკა დაინახოს, – უკვე გაზრდილი, სიმალდეში მომატებული და იქნებ ვეღარც კი იცნოს.

მაგრამ... არა, როგორ ვერ იცნობს, იცნობს, აბა რაა?! თითისტოლა ლუკას მამის გარდა ვერავინ ამშვიდებდა თურმე, დაიწვევდა მკლავებზე და ოთახიდან ოთახში რწვეა-რწვეით დაატარებდა გათუნებამდე. მამის მკლავებში მოქცეულს კი მშვიდად, უშფოთველად და იმედინად ეძინა... ლუკას კი არ ახსოვს, მაგრამ ბებია-პაპა, დედა, მამიდა ეუბნებიან ხოლმე ღიმილით... ახლა



კი როგორ უნდა, მამამ გაიღვიძოს და თავისი მკლავები უკვე გაზრდილს შემოხვიოს და უთხრას – ლუკა, მე შენთან ვარ, ცოცხალი და საღ-საღამათი...

... ოთხი წლის წინ, სექტემბრის იმ ავბეგითი დღის შემდეგ 28 წლის **დიტო კველიშვილი** თვალთ ადარ დაუნახავს არც დღის სინათლე და არც სულიერი... წვეს და ასეთ ადამიანს ექიმები „ევაივლს“ ეძახიან, რადგან მხოლოდ სუნთქავს... თუმცა შობის დამეს რაღაც, სულ პაწაწინა იმედი გაჩნდა, ლუკამ მამიდაშვილთან და ამხანაგებთან ერთად „ალილო“ იგალობეს, ოჯახს შობის დადგომა მიულოცეს, ოთახში შებრუნებულმა დედამ – ნათელა ხიბლაშვილმა შვილის დაწვებზე ცრემლები შენიშნა – ჯერ შეერთა ქალი, შემდეგ კი სიხარულნარევი, აკანკალებული ხმით ჰკითხა: – რა გატირებს ჩემო დიტო და შვილის სასთუმალთან ჩაინოქა... მას შემდეგ ელემენტარულ კითხვებს პასუხობს დიტო თვალის დახამხამებით, მარჯვენა თვალის დახუჭვა შეკითხვაზე თანხმობას ნიშნავს, მარცხენასი – უარყოფას. ასე ესაუბრებიან დღეს დიტოს, გაჩნდა იმედის ნაპერწკალი, თითქოს ცაზე ისევ აციაგდა დიტოს ვარსკვლავი, სულ ოდნავ, მაგრამ მაინც იმედით, რწმენით...

ელოდებიან, მოთმინებით, რწმენით ელოდებიან როდის გამოვა მდგომარეობიდან...

ვევლაზე მეტად მამას – გივის ეწურება გული, – მის მისამარებლად მანქანიდან გადმოსულ დიტოს, მისმა თანამეინახემ, რომელიც რამდენიმე წუთის წინ სიყვარულს და ძმობას ეფიცებოდა, გაურკვეველი მიზეზის გამო ჯერ მამამის დაარტყა, შემდეგ კი დიტოს თავში რკინის ნაჭკერი... ვერც გამოკვლევებმა უშველა დიტოს... მხოლოდ ლოდინი, უსასრულო, მაგრამ იმედია...

მეუღლე – მარიკა ბოლქვაძე – აჭარიდან – სულოდანაა. ჯერ კარგადაც ვერ გაეცნო კახეთი, ჩვენი ადათ-წესები, ტრადიციები და უფალმა დიდი ჯვარი არგუნა მოთმინისა და მოლოდინისა.

ერთხანს საგარეჯოელი მოსწავლეები, საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდები კონცერტებს მართავდნენ, შესაწირ ეუთებს დაატარებდნენ და დიტოს დასახმარებლად თანხას აგროვებდნენ. შემდეგ კი... დიტოს ოჯახი არაა მიჩვეული წუწუნს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რამდენი რამ ჭირდება – ჯერ მარტო ხელოვნურად მის კვებას, მოვლას, მედიკამენტებს... 5 წლის ლუკას რამდენჯერ თვალი ვაკაკურად აურიდებია ბანანისათვის, ვაშლისთვის... იცოდა და ახლაც იცის, რომ მათი თითოეული წვეთი მამას სუნთქვას უხანგრძლივებდა, ეს სუნთქვა კი იმედის პაწია ალაპივით ფრიალებს მათ სახლში...

დიახ, კველიშვილების სახლში დღეს გაძლებს გამრებად ქცეული ადამიანები ცხოვრობენ, უძლებენ და მოთმინებით ელიან დიტოს დაბრუნებას... ლუკა კი ჩუმი კოცნის ხოლმე მამიკოს, იქმებ მისმა კოცნამ გამოაფხიზლოს, სიცოცხლე დაუბრუნოს ახალგაზრდა კაცს, რომელსაც 32 წელი შეუსრულდა...



რედაქტორი: თინათინ ილაური



„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500 რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.

ტელეფონები: 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com